საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
გარემოს ეროვნული სააგენტო

ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №150 ტელ.: +995 32 243 95 03; ფაქსი: +995 32 243 95 02

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 217/ს
19.05.2023

217-21-4-202305191807

თერჯოლის მუნიციპალიტეტში, შპს „ჭიათურმანგანუმ ჯორჯიას“ ფეროშენადნობთა საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებასა (წარმადობის გაზრდა) და 110 კვ ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის „ნახშირღელეს“ გაყვანაზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-9 მუხლის, ამავე კოდექსის მე-5 მუხლის მე-12 ნაწილის, მე-11 მუხლის მე-4 ნაწილის, ასევე II დანართის 3.4 ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს, თერჯოლის მუნიციპალიტეტში, შპს „ჭიათურმანგანუმ ჯორჯიას“ ფეროშენადნობთა საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებასა (წარმადობის გაზრდა) და 110 კვ ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის „ნახშირღელეს“ გაყვანაზე სკოპინგის დასკვნა N8;
2. შპს „ჭიათურმანგანუმ ჯორჯია“ ვალდებულია გზშ-ის ანგარიშის მომზადება უზრუნველყოს N8 სკოპინგის დასკვნის შესაბამისად;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „ჭიათურმანგანუმ ჯორჯიას“;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ჭიათურმანგანუმ ჯორჯიას“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. ბრძანების ძალაში შესვლიდან 5 დღის ვადაში სკოპინგის დასკვნა განთავსდეს სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და თერჯოლის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

თამარ ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი
სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო